

საჯარო ინფორმაციის გაცემა

ნათია წაქვლაძე*

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ 2003 წლის 6 აგვისტოს №331282 საქმეზე გადაწყვეტილებით გააუქმა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა აპელანტი, შპს გაზეთ „ალიას“ სარჩელი და მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაავალა, გაეცნო მოსარჩელისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია – ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

1. საქმის გარემოებები

მოსარჩელემ აღძრა სარჩელი თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეს, დავალებოდა მისთვის საჯარო ინფორმაციის გაცნობა, კერძოდ, 1986 წლის ასლანიკაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც პროკურატურის არქივში ინახებოდა შემდეგი საფუძვლით: 2003 წლის 29 იანვარს მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს გაეცნო ზემომითითებული საჯარო ინფორმაცია. მიუხედავად ორკვირიანი ლოდინისა, პროკურატურიდან პასუხი არ მიუღია, რაც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინფორმაციის გაცემაზე უარად ითვლება. მოსარჩელე თვლიდა მოთხოვნილ ინფორმაციას საჯაროდ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე-მე-40 მუხლების საფუძველზე პროკურატურა მოვალე იყო, შეესრულებინა კანონის მოთხოვნა – უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის ღიაობა.

მოპასუხემ წარმოდგენილ შეპასუხებაში არ ცნო სარჩელი შემდეგი საფუძვლით: რედაქციის წერილი გენერალურმა პროკურატურამ მიიღო 2003 წლის 29 იანვარს და მისი განხილვის შემდეგ, 31 იანვარს გაუგზავნა დასაბუთებული წერილობითი პასუხი, რომელშიც აღინიშნა, რომ ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში იყო არაერთი მასალა, რომელიც როგორც გარდაცვლილის, ისე მისი ოჯახის წევრთა პირად საიდუმლოებას განეკუთვნებოდა; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დანესებულება ვალდებული იყო, არ გაეხმაურებინა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან, კანონის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. მოპასუხის აზრით, მითითებული კოდექსის მე-3 IV მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება იმ ორგანოებზე, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და საქმის ირგვლივ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა დავის საგნის გაზრდის, კერძოდ, გენერალური პროკურატურის 2003 წლის 31 იანვრის №18-2-03 პასუხის (მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ),

* თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე.

როგორც ადმინისტრაციული აქტის, ბათილად ცნობის თაობაზე, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით შპს გაზეთ „ალიას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება შემდეგნაირად დაასაბუთა: გენერალური პროკურატურის გასაჩივრებული პასუხი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ აქტად, ვინაიდან მას რაიმე სამართლებრივი შედეგი, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოუწვევია. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 IV მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება პროკურატურის საქმიანობაზე, ვინაიდან კონსტიტუციის, „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებიდან გამომდინარე, პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას; ამ კონსტიტუციური ფუნქციის უზრუნველსაყოფად იგი საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს გამოძიებას და ზედამხედველობს მოკვლევის კანონიერებას; პროკურატურა ვალდებულია, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაცია, რასაც იმპერატიულად მოითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე I მუხლი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი სისხლის სამართლის საქმის მასალებში, გარდა საგამოძიებო მოქმედებათა მასალებისა, არის პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაცია და მის გასაცნობად, უპირველესად, საჭიროა გარდაცვლილი ასლანიკაშვილის ოჯახის წევრების ოფიციალური თანხმობა, რაც მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულ პირთა წრეს მოსარჩელე არ განეკუთვნება.

შპს გაზეთ „ალიას“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა მითითებული გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და პირველი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით: გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია, ვინაიდან, სასამართლოს მოსაზრებით, პროკურატურის საქმიანობაზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, ხოლო შემდეგ გამოყენებულია ამ კოდექსის 44-ე მუხლი. აპელანტის მოსაზრებით, პროკურატურა არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, იგი, კონსტიტუციის 91-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებაა. არასწორია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე მითითება, ვინაიდან, ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, არც ერთ პირს არ მოუთხოვია სისხლის სამართლის საქმის მასალების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის პირად საიდუმლოებად მიჩნევა, რასაც მოპასუხეც ადასტურებს. აპელანტის აზრით, გასაჩივრებულ პასუხს ხელს აწერს არაუფლებამოსილი პირი ზარანდია, რადგან პროკურატურაში დანიშნულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი – გენერალური პროკურორის მოადგილე თვალავაძე; რაიონულმა სასამართლომ ისე მიიჩნია დადგენილად სისხლის სამართლის საქმეში პირადი საიდუმლოების არსებობა, რომ არსებული საქმე სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა, რის გამოც ეს დასკვნა მიიჩნია დაუსაბუთებლად, რამდენადაც არ ემყარებოდა მტკიცებულებებს; სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლი, რაც კანონდარღვევაა.

წარმოდგენილ შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარემ აპელაცია არ ცნო, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლო მხარეთა განმარტებების მოსმენის, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გაანალიზებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აპელანტის საჩივარი მოტივირებულია და უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა

გაუქმდეს თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლომ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

რაიონული სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე II მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები; სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი; გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 IV მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა, როცა მიიჩნია, რომ მითითებული ნორმის საფუძველზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს პროკურატურის ორგანოებზე იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ მითითებული ნორმით განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობის წრე, რომელზეც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება. საქართველოს გენერალური პროკურატურა არის არა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, არამედ, საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, ხელისუფლების ეს ორი შტო კი კვებორად არის გამიჯნული ერთმანეთისაგან და ის გარემოება, რომ პროკურატურა ახორციელებს სისხლის-სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, არ განაკუთვნებს მას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა რიგს.

სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი, რაც მის მიერვე ზემომითითებულ დადგენილ საკითხთან წინააღმდეგობრივია; ასევე, ამ ნორმის გამოყენებისას სასამართლო არ უთითებს მტკიცებულებაზე, რომლის მიხედვითაც, საქმის მასალები მიკუთვნებულია პირად საიდუმლოებას.

2. სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია

სააპელაციო სასამართლოს შეხედულებით, წარმოდგენილი სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს; ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს გენერალური პროკურატურის 2003 წლის 31 იანვრის №18-2-03 პასუხი (წერილი) და მოპასუხეს უნდა დაევალოს გააცნოს შპს გაზეთ „ალიას“ ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის უარი საჯარო ინფორმაციის გაცნობაზე არამართლობიერია, ვინაიდან დადგენილია, რომ მითითებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც წარმოებით იქნა შეწყვეტილი, გადაეცა გენერალური პროკურატურის არქივს.

დადგენილია, რომ გენერალური პროკურატურის არქივი საუნწყებო არქივია. როგორც საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ზაუტაშვილის №04-29/136 წერილით ირკვევა, უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სახელმწიფო დაცვაზე მიღებულია პროკურატურის ფონდის დოკუმენტები 1974 წლის ჩათვლით, ხოლო ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის მასალები სახელმწიფო არქივში დაცული არ არის.

1995 წლის 2 მაისის „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, ეროვნული საარქივო ფონდისათვის დოკუმენტის მიკუთვნება ხდება დოკუმენტის შემფასებელი ექსპერტიზის საფუძველზე, რომელსაც აწყოებს საექსპერტო კომისია.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით, ეროვნულ საარქივო ფონდს მიკუთვნიებული დოკუმენტების მიმართ განსაზღვრულია ამ კანონის მიხედვით განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, კერძოდ, კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტით სარგებლობა თავისუფალია; ამავე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია, რომ სარგებლობის უფლება სხვა პირთათვის შეზღუდულია: ა) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებზე და ბ) მოქალაქეთა პირადი ცხოვრებისა და ქონების ამსახველ დოკუმენტებზე, მათ შორის სისხლის სამართლის პროცესის მასალებზე მათი შექმნიდან 75 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული კანონის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს გენერალური პროკურატურის არქივში დაცულ ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრულ და წარმოებით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეზე, რამდენადაც ეს საქმე სპეციალური საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით არ არის მიკუთვნიებული ეროვნულ საარქივო ფონდს და ამ ფონდის დოკუმენტის სტატუსი არ გააჩნია. აღნიშნულის გამო, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მასალები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 I მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაციაა.

ამავე კოდექსის მე-3 II მუხლის მიხედვით, მოცემული კოდექსის მოქმედება „ა“-„დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე შემოფარგლულია III თავით. რამდენადაც საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, მის საქმიანობაზე, კოდექსის მე-3 II მუხლის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ვრცელდება III თავის – ინფორმაციის თავისუფლების – მოქმედება.

სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს რაიონული სასამართლოს მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 IV მუხლის გამოყენების მართებულობას და განმარტავს, რომ, მითითებული ნორმის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან, სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან, სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან და სხვა, არ ვრცელდება კოდექსის მოქმედება, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან მითითებული საქმიანობების განხორციელებისას, შესაბამისი ორგანოები მოქმედებენ მატერიალური და საპროცესო სამართლის სპეციალური კანონებით, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით, „საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ“ კანონითა და სხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მითითებულ საქმიანობათა განხორციელებისას ეს ორგანოები არ გამოიყენებენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით დადგენილ პროცედურას, არ ატარებენ ადმინისტრაციულ წარმოებას და ა. შ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 III მუხლით დადგენილია, რომ ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება მე-3 II მუხლში მითითებული ორგანოებისა და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან კოდექსის მე-3 II მუხლის მიხედვით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო ამავე მუხლში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე შემოფარგლულია III თავით, კოდექსის მე-3 III მუხლში მითითებული „ამ კოდექსის მოქმედება“ გაგებულ უნდა იქნეს, როგორც „III თავის მოქმედება“, რამდენადაც, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მე-3 II მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე მხოლოდ კოდექსის მე-3 თავი ვრცელდება, ხოლო მე-3 III მუხლში მოცემული დათქმა III თავის მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავიწროებს და იფარგლება

მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობით. ამდენად, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების (მათ შორის პროკურატურის) მიმართ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოქმედება იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

სააპელაციო სასამართლო შეხედულებით, მოცემულ შემთხვევაში გენერალური პროკურატურა ახორციელებდა სწორედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რამდენადაც ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილია, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ საქმეზე არ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, საპროცესო მოქმედებები, რაც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით და საქმე გადაცემული აქვს არქივს. კონკრეტულ ვითარებაში, საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლის საქმის, როგორც საარქივო დოკუმენტის, შენახვას და დაცვას უზრუნველყოფს; ეს კი პროკურატურის არა კონსტიტუციურ და სპეციალური კანონების საფუძველზე მინიჭებულ ფუნქციაა, არამედ ადმინისტრაციული ფუნქცია, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით და მოქცეულია დანესებულების ადმინისტრირების სფეროში.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ გენერალური პროკურატურის საქმიანობა, მისსავე არქივში დაცულ დოკუმენტებთან დაკავშირებით, განეკუთვნება დანესებულების ადმინისტრირების სფეროს, რის გამოც ამგვარი დოკუმენტები კოდექსის III თავით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციაა და გენერალური პროკურატურის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კანონსწინააღმდეგოა. იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან უკანონოდ ემყარება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 IV მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებს; ასევე არამართებულია ამავე კოდექსის 44-ე მუხლზე დაყრდნობა, რამდენადაც დადასტურებულია, რომ მოსარჩელისათვის საინტერესო სისხლის სამართლის საქმის არცერთ მასალასთან დაკავშირებით არ ყოფილა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს ასევე დადგენილად მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებიდან არცერთი არ არის მიკუთვნებული პირად საიდუმლოებას, რადგან, ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით კი, ის ესაუბრა ასლანიკაშვილის შვილს აღნიშნულზე, მაგრამ ოჯახის წევრებმა არავითარი რეაგირება არ მოახდინეს, ანუ არ მიუმართავთ პროკურატურისათვის, სისხლის სამართლის საქმის მისაღებში არსებული პერსონალური მონაცემები, ასლანიკაშვილის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ ეცნოთ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემად და პროკურატურას მიელო შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო სრულიად ალოგიკურად და დაუსაბუთებლად მიიჩნევს რაიონული სასამართლოს მსჯელობას სისხლის სამართლის საქმეში ასლანიკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის არსებობაზე, ვინაიდან ოჯახის წევრების მიერ კანონით მინიჭებული უფლება რეალიზებული არ ყოფილა და მათ ამგვარი ნება არ გამოუხატავთ.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონით სწორედ პერსონალური მონაცემების სუბიექტს მიენიჭა პრიორიტეტი, განსაზღვროს, თუ რომელი პერსონალური მონაცემი მიაჩნია პირად საიდუმლოებად და შესაბამისი საჯარო დანესებულების მიერ, სადაც დაცულია ეს მონაცემები, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პერსონალური მონაცემები, რომლებიც პირის სურვილის საფუძველზე მიეკუთვნება პირად საიდუმლოებას, ექცევა სხვა სამართლებრივ რეჟიმში, ანუ არ ექვემდებარება ლიაობას და არ არის ხელმისაწვდომი. ზოგადი ადმინისტრატ-

ციული კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. სწორედ დადგენილი წესით პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის მიმართ წარმოიშევა საჯარო დაწესებულებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება, არ გახმაურდეს ამგვარი ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის ნორმათა გამოყენების თაობაზე, ვინაიდან მითითებული კანონის მე-12 მუხლში განსაზღვრულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები. ასეთი ორგანო პროკურატურა არ არის, კანონის 21-ე მუხლით, დადგენილია საპროკურორო ზედამხედველობა: ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე, ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე გენერალური პროკურორისა და პროკურორების მიერ. მოცემული სისხლის სამართლის საქმე აღძრული და წარმოებით შეწყვეტილია პროკურატურის მიერ. მოპასუხემ ვერ დაასაბუთა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე იქნა თუ არა განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობები და რა დოზით შეიცავს საქმე ასეთი საქმიანობის ამსახველ მონაცემებს, დოკუმენტებსა და წყაროებს, რომელთა გაცნობაც შეზღუდულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით. სასამართლომ ჩათვალა, რომ სარჩელი საფუძვლიანია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე 1, 28-ე და 50-ე მუხლების საფუძველზე; კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გენერალური პროკურატურის 2003 წლის 31 იანვრის №18-2-03 პასუხი და დაევალა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გაეცნო შპს გაზეთ „ალიასათვის“ ასლანი კაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

3. კომენტარი

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რამდენადაც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა მწირი და არაერთგვაროვანია; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის დებულებები, რომლებიც, თავის მხრივ, ცალსახად შეიძლება შეფასდეს როგორც თამამი და პროგრესული ნაბიჯი ქვეყანაში საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მოქალაქეთა უფლებების განვითარებისა და დაცვის სფეროში, რადგან მითითებული კოდექსის ამოქმედებას ფონად უდევს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს უმძიმესი მემკვიდრეობა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი საჯარო დაწესებულებათა მუშაობის მოუქნელი, დახურული სტილით, გასაგები და კიდევ უფრო საშური ხდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმათა თანმიმდევრული დამკვიდრება კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას. კოდექსის III თავის ისევე, როგორც სხვა დებულებების, პოპულარიზაციას, პრაქტიკაში გამოყენებას და ყველა ასპექტით ამოქმედებას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია როგორც სამოქალაქო, ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ისე მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ამუშავებასა და სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში.

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ნორმებით განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება სასამართლო ხელისუფლებას, ვინაიდან იგი აძლევს პირს უფლებას, საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ობიექტურობას, კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს. იგი აღადგენს დარღვეულ წონასწორობას პირსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობებში.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მიღებით ქართულმა სახელმწიფომ აღიარა თავისი ვალდებულება, დაუბრკოლებლად მიაწოდოს მოქალაქეებს საჯარო დანესებულებებში დაცული საჯარო ინფორმაცია.

საინტერესოა, რომ საქართველოში საჯარო ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლები ჟურნალისტები არიან. მოცემულ შემთხვევაშიც მასმედია დაინტერესდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალებით, რომლის გაცნობაზეც გენერალური პროკურატურიდან უარი მიიღო.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით, ისეთი სპეციფიკური საჯარო დანესებულების მიმართ, როგორცაა გენერალური პროკურატურა, ინტერპრეტირებული იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის ნორმების მოქმედების სფერო და მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან გენერალური პროკურატურის როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული და კონსტიტუციისა და სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული საპროცესო მოქმედებების ჩატარების ფუნქციები; განმარტებულ იქნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გენერალური პროკურატურის საქმიანობა მისსავე არქივში დაცულ დოკუმენტებთან დაკავშირებით დანესებულების ადმინისტრირების სფეროა, რის გამოც ამგვარი დოკუმენტები განეკუთვნება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას და ექვემდებარება ღიაობას.

ასევე მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ კანონმდებლობით სწორედ პერსონალური მონაცემების სუბიექტს, და არა საჯარო დანესებულებას, ენიჭება პრიორიტეტი, განსაზღვროს, თუ რომელი პერსონალური მონაცემი მიაჩნია პირად საიდუმლოებად, თუ ეს პირდაპირ არ არის კანონით დადგენილი.

მითითებული გადაწყვეტილება, ვფიქრობთ, ერთ-ერთი საინტერესო პრეცედენტია საჯარო ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში და პოზიტიურ როლს შეასრულებს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.